გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის,დაბა ბახმაროს ტერიტორიაზე,ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით შექნილი საინიციატივო ჯგუფის სახელით,ასევე,როგორც რიგითი დეპუტატი, ვაკეთებ განცხადებას:

სოციალური ქსელის საშუალებით გახდა ცნობილი,რომ ბახმაროს ტერიტორიაზე,მდინარე ბახვისწყალზე, იგეგმება 12 მეგავატის სიმძლავრის ჰესის მშენებლობა,რაზედაც თურმე უკვე არსებობს პროექტი და მიმდინარე წლის 29 იანვარს,საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით ჩატარებულა საქმიანობის განხორციელების სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა.ინფორმაცია ამ საჯარო განხილვის თაობაზე 2020 წლის 31 დეკემბერს ყოფილა ნაცნობები ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებისთვის,რაც არ გასაჯაროვებულა.ეს თემა უაღრესად მტკივნეულად აღიქვა საზოგადოებამ,ვინაიდან ექსპერტთა აზრით, ჰესის მშენებლობა გამოიწვევს კურორტის კლიმატის შეცვლას,ფლორისა და ფაუნის განადგურებას,ასევე საშიშროებას შეუქმნის მოსახლეობას.არ არის ცნობილი ,თუ რა სიკეთე შეიძლება მოიტანოს ჰესის მშენებლობამ.

აქვე მინდა საჯაროდ მადლობა ვუთხრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია „ქართული ოცნების"თავმჯდომარეს,ბატონ ბექა გამდლიშვილს,მის მიერ,სოციალურ ქსელში დაფიქსირებული პოზიციის გამო,სადაც ის ასევე ეწინააღმდეგება ბახვი 1 ჰესის მშენებლობას.

გთხოვთ განმარტებას,რა ინფორმაციას ფლობს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა აღნიშნულ საკითხზე და ასევე დავაფიქსიროთ საკრებულოს პოზიცია ამ თემასთან დაკავშირებით .

მ. პუცუკიძე

10.02.2021 წ.